ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები, (იტალია -ქალაქი ფლორენცია), ინტერკულტურული დიალოგი მშვიდობისათვის

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატის, აფხაზეთის მთავრობის და ფლორენციაში დელ ბიანკოს ფონდის ორგანიზებით 12-16 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ,,რომუალდო დელ ბიანკოს'' ფონდის მიწვევით ფლორენციაში იმყოფებოდა. დელეგაციაში შედიოდნენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ადა მარშანია, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის პირველი მოადგილე ბელა კოპალიანი და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლეილა ხუბაშვილი.

დელეგაციის წარმომადგენლებმა 21 ქვეყანასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს „რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი"-ის ორგანიზებით გამართულ **ყოველწლიურ ფონდის ექსპერტთა მე-17 საერთაშორისო ასამბლეის** მუშაობაში, რომელიც „ინტერკულტურული დიალოგს მიეძღვნა". ასამბლეას მუშაობაში 21 ქვეყანა იყო ჩართული.

აფხაზეთის მთავრობასა და „დელ ბიანკოს ფონდს " შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს ინტერკულტურული დიალოგისათვის ხელშეწყობას და მასში ხელმომწერი მხარეების აქტიურ თანამშრომლობას და ჩართულობას.

დელეგაციის მიერ ასამბლეაზე გაჟღერდა იმ წინადადების შესახებ, რომელიც ფლორენციაში, ფონდთან ერთად საერთაშორისო, ინტერდისციპლინარული სტუდენტური ვორქშოფის ჩატარებას ითვალისწინებს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, აფხაზი, ოსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი ახალგაზრდები და შესაბამისად, უნივერსიტეტების პროფესორები.

დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს, ასევე, ექსპერტთა მრგვალი მაგიდის ფარგლებში დაგეგმილ პრესკონფერენციაში, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა ფლორენციის ინტეგრაციის ასესორთან სარა ფურანოსთან, რომელმაც აფხაზეთის მთავრობის წევრებს გაუზიარა იტალიის გამოცდილება ინტეგრაციის საკითხებში და დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობა.

გაიმართა შეხვედრა ფლორენციის ქართულ დიასპორასთან და ფლორენციის წმინდა ნინოს სამრევლოსთან, რომელსაც ესწრებოდნენ იტალიის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების წარმომადგენლებიც. აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელმა ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ მათ ღვთისმშობლის ხატი და სანთლები გადასცა.

„რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი"-ს მიერ ორგანიზებულ გამოსამშვიდობებელ საზეიმო ვახშამზე მოეწყო სიმბოლური ქართულ - აფხაზური სამზარეულოს პრეზენტაცია.

ვიზიტის ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს საელჩო იტალიაში, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო.